

**თავი I. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2026 წლის ძირითადი მაჩვენებლები
მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	32 856,6	33 048,7	13 195,2	19 853,5	22 475,4	216,0	22 259,4
გადასახადები	15 909,1	17 208,9	0,0	17 208,9	19 804,4	0,0	19 804,4
გრანტები	13 918,8	13 249,8	13 195,2	54,6	216,0	216,0	0,0
სხვა შემოსავლები	3 028,6	2 590,0	0,0	2 590,0	2 455,0	0,0	2 455,0
ხარჯები	17 226,3	25 602,4	4 133,2	21 469,2	22 446,0	216,0	22 230,0
შრომის ანაზღაურება	3 011,5	3 592,8	0,0	3 592,8	4 050,0	0,0	4 050,0
საქონელი და მომსახურება	3 434,0	4 556,7	1 834,4	2 722,3	2 914,2	0,0	2 914,2
პროცენტი	10,0	5,5	0,0	5,5	6,0	0,0	6,0
სუბსიდიები	7 805,4	10 741,1	191,0	10 550,1	11 695,1	196,0	11 499,1
გრანტები	41,9	153,8	0,0	153,8	249,6	0,0	249,6
სოციალური უზრუნველყოფა	1 879,0	3 510,8	20,0	3 490,8	2 542,5	20,0	2 522,5
სხვა ხარჯები	1 044,5	3 041,7	2 087,8	953,9	988,6	0,0	988,6
საოპერატიო სალდო	15 630,2	7 446,3	9 062,0	-1 615,7	29,4	0,0	29,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 621,9	13 185,2	10 490,9	2 694,3	2 196,0	0,0	2 196,0
ზრდა	12 652,3	13 265,2	10 490,9	2 774,3	2 206,0	0,0	2 206,0
კლება	30,4	80,0	0,0	80,0	10,0	0,0	10,0
მილიანი სალდო	32 856,6	33 048,7	13 195,2	19 853,5	22 475,4	216,0	22 259,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 957,4	-5 789,9	-1 428,9	-4 361,0	-2 218,6	0,0	-2 218,6
კლება	-2 957,4	5 789,9	1 428,9	4 361,0	2 218,6	0,0	2 218,6
ვალდებულებების ცვლილება	-50,9	-51,0	0,0	-51,0	-52,0	0,0	-52,0
კლება	50,9	51,0	0,0	51,0	52,0	0,0	52,0
საშინაო	50,9	51,0	0,0	51,0	52,0	0,0	52,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	საქონელი	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	32 886,9	33 128,7	13 195,2	19 933,5	22 485,4	216,0	22 269,4
შემოსავლები	32 856,6	33 048,7	13 195,2	19 853,5	22 475,4	216,0	22 259,4
არაფინანსური აქტივების კლება	30,4	80,0	0,0	80,0	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	29 948,6	38 918,6	14 624,107	24 294,485	24 704,0	216,0	24 488,0
ხარჯები	17 226,3	25 602,4	4 133,2	21 469,2	22 446,0	216,0	22 230,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 652,3	13 265,2	10 490,9	2 774,3	2 206,0	0,0	2 206,0
ვალდებულებების კლება	50,9	0,0	50,9	51,0	0,0	51,0	52,0
ნაშთის ცვლილება	2 957,4	-5 789,9	-1 428,9	-4 361,0	-2 218,6	0,0	-2 218,6

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 22 389,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	32 856,6	33 040,3	13 186,8	19 853,5	22 389,0	216,0	22 173,0
გადასახადები	15 909,1	17 208,9		17 208,9	19 718,0		19 718,0
გრანტები	13 918,8	13 241,4	13 186,8	54,6	216,0	216,0	0,0
სხვა შემოსავლები	3 028,6	2 590,0		2 590,0	2 455,0		2 455,0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 19 804,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
გადასახადები	15 909,1	17 208,9	19 804,4
ქონების გადასახადი	6 334,7	6 200,0	8 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 962,3	4 930,0	7 230,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	563,1	500,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11,1		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	19,7	0,0	0,0
ფიზიკურ პირებიდან	17,2	0,0	0,0
იურიდიულ პირებიდან	2,5	0,0	0,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	778,5	770,0	770,0
ფიზიკურ პირებიდან	17,2	0,0	0,0
იურიდიულ პირებიდან	761,3	770,0	770,0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	9 574,5	11 008,9	11 804,4
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	9 574,5	11 008,9	11 804,4
დამატებული ღირებულების გადასახადი	9 574,5	11 008,9	11 804,4

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვრა 216,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკ.შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკ.შემოსავლები
გრანტები	13 918,8	13 249,8	13 195,2	54,6	216,0	216,0	0,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	84,5	54,6		54,6	0,0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13 834,3	13 195,2	13 195,2	0,0	216,0	216,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 267,4	1 317,8	1 317,8	0,0	216,0	216,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	198,4	211,0	211,0		216,0	216,0	
ტრანსფერები ცენტრალური სსიპებიდან	1 069,0	1 106,8	1 106,8		0,0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	12 567,0	11 877,4	11 877,4	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	8 620,0	6 848,3	6 848,3		0,0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	890,0	890,0	890,0		0,0		
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	907,8	278,8	278,8		0,0		
სპეციალური ტრანსფერი	1 599,2	3 150,4	3 150,4		0,0		
სპეციალური (ფინანსური დახმარება)		0,0			0,0		
დელეგირებით სკოლების რეაბილიტაცია	0,0	410,0	410,0		0,0		

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკ.შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	550,0	300,0	300,0		0,0	0,0	
„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“	550,0	300,0	300,0		0,0		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2 455,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	3 028,6	2 590,0	2 455,0
შემოსავლები საკუთრებიდან	588,6	635,0	400,0
პროცენტები	395,3	510,0	300,0
რენტა	193,3	125,0	100,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	97,5	75,0	75,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	95,9	50,0	25,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	135,8	100,0	55,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	135,8	100,0	55,0
სანებართვო მოსაკრებელი	9,6	5,0	5,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	126,2	95,0	50,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 297,1	1 855,0	2 000,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	7,2	0,0	0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 22 111,0 ათასი ლარით

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	17 226,3	25 602,4	4 133,2	21 469,2	22 446,0	216,0	22 230,0
შრომის ანაზღაურება	3 011,5	3 592,8	0,0	3 592,8	4 050,0	0,0	4 050,0
საქონელი და მომსახურება	3 434,0	4 556,7	1 834,4	2 722,3	2 914,2	0,0	2 914,2
პროცენტი	10,0	5,5	0,0	5,5	6,0	0,0	6,0
სუბსიდიები	7 805,4	10 741,1	191,0	10 550,1	11 695,1	196,0	11 499,1
გრანტები	41,9	153,8	0,0	153,8	249,6	0,0	249,6
სოციალური უზრუნველყოფა	1 879,0	3 510,8	20,0	3 490,8	2 542,5	20,0	2 522,5
სხვა ხარჯები	1 044,5	3 041,7	2 087,8	953,9	988,6	0,0	988,6

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2 196,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 206,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 10,0 თასი ლარით:

ათას ლარში

პროგრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	98,6	255,8	108,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	98,6	255,8	108,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12 211,2	11 909,0	1 590,0

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10 614,7	10 396,8	930,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	923,2	172,7	310,0
02 03	გარე განათება	47,1	105,0	50,0
02 05	კეთილმოწყობა	66,5	502,9	150,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	559,8	731,6	150,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,1	16,0	120,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,1	16,0	120,0
04 00	განათლება	45,9	464,0	8,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	17,2	60,0	0,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	61,0	0,0	0,0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	0,0	399,0	8,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი)	0,6	5,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	291,6	620,4	380,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	254,1	599,7	380,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	33,3	20,7	0,0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	4,2	0,0	0,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12 652,3	13 265,2	2 206,0

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	30,4	80,0	10,0
ძირითადი აქტივები	30,4	50,0	5,0
არაწარმოებული აქტივები	0,0	30,0	5,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით

ათას ლარში

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 705,2	5 990,4	6 731,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 694,7	5 979,9	6 720,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 694,7	5 962,9	6 510,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	17,0	210,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები		5,5	6,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,5	5,0	5,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	12 033,1	12 558,6	1 740,0
7045	ტრანსპორტი	12 033,1	12 558,6	1 740,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12 033,1	12 558,6	1 740,0
705	გარემოს დაცვა	1 992,1	2 885,2	2 964,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 746,1	2 555,0	2 584,5
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	237,3	320,9	363,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	8,7	9,3	17,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 636,2	1 632,3	1 330,0
7061	ბინათმშენებლობა	161,5	211,0	200,0
7063	წყალმომარაგება	1 026,7	386,2	440,0
7064	გარე განათება	381,5	532,1	540,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	66,5	502,9	150,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	264,3	301,5	328,3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	264,3	301,5	328,3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 514,8	3 709,0	3 932,9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	880,5	1 514,9	1 445,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 459,9	1 962,2	2 198,9
7083	ტელერადიომრავალფეროვნება და საგამომცემლო საქმიანობა	101,2	121,9	145,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	73,1	110,0	149,0
709	განათლება	3 919,1	5 580,4	4 522,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 493,0	3 579,4	3 991,1
7092	ზოგადი განათლება	1 198,1	1 702,6	203,2
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 198,1	1 702,6	203,2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	228,0	298,4	328,5
710	სოციალური დაცვა	2 752,9	6 210,2	3 102,3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	785,4	1 097,2	782,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	698,2	987,6	675,0

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	87,2	109,6	107,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,0	9,0	8,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	53,4	60,0	60,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	900,2	2069,49	1 431,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	626,2	2 411,7	250,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	10,8	21,0	21,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	375,0	541,8	550,3
	სულ	29 817,6	38 867,6	24 652,0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 2 166,6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 29,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	15 630,2	7 466,5	29,4
მთლიანი სალდო	3 008,3	-5 738,9	-2 166,6

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2 218,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 957,4	-5 789,9	-2 218,6
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	-2 957,4	5 789,9	2 218,6

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც ხდება 2026 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 52.0 ათასი ლარი

ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან

2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასახო

ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 532 952 ლარს, აქედან

სესხის სახით გადასახდელი იყო 356 455 ლარი. მუნიციპალიტეტი

ყოველწლიურად იხდის გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, სესხის

დაფარვის გრაფიკის მიხედვით. რომელიც წლის მანძილზე ხორციელდება ორ

ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს. დღეის მდგომარეობით სულ დაფარულია

522.2 ათასი ლარი, აქედან 331.2 ათ. ლარი სესხის და 191.1 ათ. ლარი პროცენტის

სახით.

ათას ლარებში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-50,9	-51,0	-52,0
კლება	50,9	51,0	52,0
საშინაო	50,9	51,0	52,0

თავი II. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები,

პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები.

მუხლი 13. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები,

პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები.

განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი

პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცი დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

1. პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება

პრიორიტეტის ქვემოქვეყული პროგრამები: მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და

კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და

განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი

განვითარება.

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები კი უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების **68%** სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრეები).

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხუთი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპები, ხოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა შეიქმნას უსაფრთხო, კომფორტული და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო.

მიზანი: პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.1 გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია.

ასფალტობეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფეხით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა. სულ მოწყობა 35 კმ საერთო სიგრძის ასფალტისაფარიანი/ ბეტონიანი გზა, სოფლებში, სადაც გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებზე, ფეხით მოსიარულეთათვის მოწყობა ტროტუარები. კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოეწყობა სანიაღვრე არხები, რაც შეამცირებს წვიმების დროს საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებას და უზრუნველყოფს მოსახლეობის ზიანისგან დაცვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების, ბავშვების, შშმ პირებისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის, რადგან კლიმატით გამოწვეული კატასტროფების დროს მეტად მოწყვლადები არიან.

გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2026 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდითა და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.

მიზანი: გზების მოწესრიგება (მოასფალტება, მობეტონება) და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.2 გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მუნიციპალური გზების გასწორხაზოვნება და მრავალწლიანი და ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში გზების მოვლა. გზების მიმდინარე შეკეთების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმოული შეკეთება), ასევე, არასაფალტირებული გზების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 117 000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა და მოვლა-პატრონობა. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყობა სოფლის სახელწოდებების ამსახველი აბრები.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ავტოტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა (ბავშვები, ქალები, მამაკაცები, შშმ პირები) მოწესრიგებული გადაადგილება და უსაფრთხოების გაზრდა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3--ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.4 ხიდების, ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა გზებზე არსებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 30 ერთეულს, მათგან რეაბილიტაციას საჭიროებს 10

ერთეული. 2026 წელს დაგეგმილია და მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია 10 ხიდის მოწყობაზე. ხიდებისა და ბოგირების გამართული მდგომარეობა მნიშვნელოვანია სტიქიური მოვლენებისას უსაფრთხო გადაადგილებისა და კატასტროფების რისკების თავიდან ასაცილებლად. **მიზანი:** ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული ხიდების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია.. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.5 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 01 05)

აღწერა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდება ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სხვადასხვა სოფლის ცენტრებამდე. ქვეპროგრამით ფინანსდება ხარაგაული-ნადაბური; ხარაგაული-სხლითი; ხარაგაული -ვახანი; ხარაგაული-ზვარე, რკინიგზის სადგური-ციცხის და უბისა-ხევის რეისის მიმართულებები. მომდევნო წლებში მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დაემატება ახალი რეისები. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება ხორციელდება თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით, რაც უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით ძირითადად სარგებლობენ ქალები, ბავშვები, მოხუცები. მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტის სუბსიდირება ხელს უწყობს მოსახლეობის დროულ გადაადგილებას და ეხმარება მათ დაბაში სხვადასხვა სერვისების მიღებაში.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებს შორის გადაადგილების ხელშეწყობა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3: -ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 5-გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.2. წყლის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით. წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობისა და ინკლუზიურობის თვალსაზრისით. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. არსებული სოციალური როლების განაწილების პირობებში, სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, რაც შეამცირებს აუნაზღაურებელ შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობას და გაათავისუფლებს მეტ დროს სხვა საქმიანობებისთვის.

მიზანი: პროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობის სასმელი (ასევე ტექნიკური) წყლით მომარაგება.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

1.2.1 სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 01)

აღწერა: ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ან ახლით ჩანაცვლება; რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო და გენერატორი. დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია წყალმომარეგების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.2.2. კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა) (პროგრამული კოდი 02 02 02)

აღწერა: კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა) (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბასა და სოფლებში სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, განსაკუთრებით წყალდიდობების, ნიადაგის ეროზიისა და მეწყერული პროცესების თავიდან აცილების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა შესაძლო სტიქიური წყალმოვარდნებისაგან, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება დაბის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.3. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის ფუნქციონირებს დაბა ხარაგაულსა და 19 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 65 %. გარე განათების სისტემა მოიცავს 4000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, ამის გარდა 90 -ზე მეტ სანათ წერტილს, 100 000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 230,0 ათასი ლარი) მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: -გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია. - კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური /ინფრასტრუქტურული ხასიათის , ასევე- მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს,

ხოლო მომსახურების ნაწილი- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას(მ.შ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).

გარე განათების სისტემის მოწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინკლუზიურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალებისა, ბავშვებისა, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. გამართული და სათანადოდ მოვლილი განათების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულისა და შემთხვევითი ტრავმების რისკებს.

მიზანი: პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები. დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 7: ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

1.3.1 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

აღწერა: ქვეპროგრამა ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას დაბა ხარაგაულსა და 19 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 65 %. გარე განათების სისტემა მოიცავს 4000-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, ამის გარდა 900 -ზე მეტ სანათ წერტილს, 100000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ქვეპროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (2026 წელში დაახლოებით 230.0 ათასი ლარი) მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. თანხები იხარჯება ლოგორც განათების ქსელის ექსპლუატაციაზე ასევე გარე ქსელის გაფართოებაზეც. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს პერსონალის ხელფასს (ადმინისტრაციის ელექტრიკოსების და მძღოლების).

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შემლეს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად , მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

1.4. მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 11 არის დაბაში და 7 მოლითში, წიფასა და დიდვაკეში. აღნიშნული სახლების 60 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების 1%-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი, შეკეთდა სახურავები.

მნიშვნელოვანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება-რეაბილიტაცია, რათა შექმნას თანაბრად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემო ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწყვლად ჯგუფებს - ქალებს, ბავშვებს ხანდაზმულებს და შშმ პირებს.

მიზანი: პროგრამის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

1.5. კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

აღწერა: მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია რაოდენობის 34 ერთეული, საერთო 8700 კვმ ფართობის სკვერი, პარკი. მ.შ. დაბის ტერიტორიაზე 11 ერთეული, 6400 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების წილი შეადგენს 60 % -ს პროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2026 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და სტუმრებისათვის დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

1.5.1 კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2026 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

მიზანი: მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

1.6. სოფლის მხარდამჭერი პროგრამა (პროგრამული კოდი 02 09)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათი მოთხოვნების შესაბამისად ხდება განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობა, რათა შეხვედრების დროს გამოვლინდეს როგორც კაცებისა და ბიჭების, ასევე ქალებისა და გოგონების საჭიროებები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ხდება თანადაფინანსება. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ, სადაც გათვალისწინებულია გენდრული ასპექტები.

მიზანი: სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

2. პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვა-დასუფთავება, სასყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩებისა გზების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთა. დამატებითი ურნების დადგმა, არსებული მწვანე საფარის მოვლა-

შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და დაბის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

2.1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ ახორციელებს დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი, 4 მძღოლი და 9 მტვირთავი მუშა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25-35 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის პერსონალის (მეუბოვეები, მძღოლები, მტვირთავი, მუშები, წყალანირების ჯგუფი, ზედამხედველების, დამლაგებლებისა და დარაჯების) ხელფასებს. ა(ა)იპ ამ ქვეპროგრამით ასევე აწარმოებს 20 ა/ერთეულში შემავალი სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთებას, გასწორხაზოვნებას და დამეწყრილი გზების გაწმენდას. ასევე დაბაში დაზიანებული სანიაღვრე არხების, საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას, გაწმენდას.

ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს კატასტროფების რისკების პრევენციას და ამცირებს სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს და აუმჯობესებს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და საიმედო მუშაობას.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანს წამოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, დაბაში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება

2.2. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკებისა და სავალი გზის ნაპირების გაცეღვითი სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება დაბა ხარაგაულის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს პერსონალის (ადმინისტრაციის, დეკორატორების და გამწვანების მუშების) ხელფასს.

მიზანი: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები

2.3. მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსახლეობის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უპატრონოდ დარჩენილი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანას, შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნებას

მიზანი: მუნიციპალიტეტში მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა;

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები

4. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც

თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამღლების ხელშეწყობა. ასევე პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება ბორის საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული პანსიონური მომსახურება. ამასთან ერთად სასკოლო განათლების ხელშეწყობის მიზნით მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება

3.1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" ხარაგაულის მინიციპალიტეტი 21 საბავშვო ბაღში და 6 სკოლისათვის მზაობის ჯგუფში. სულ 2026 წლისათვის 411 აღსაზრდელია. სკოლამდელ დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 309 შტატით და 14 შტატგარეშე (ცეცხლფარეში) თანამშრომელი.

მიზანი: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვების უზრუნველყოფა. აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბავშვების ინფრასტრუქტურის (ეზოს, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. თანამშრომლების შრომითი პირობების გაუმჯობესება და ასევე მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება

3.2 სკოლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის განკარგულებების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/ რეაბილიტაციის/ აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი სახსრებით მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებად მიზანი:

მიზანი: სკოლის მოსწავლეებისთვის საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა ნორმალურ და ადაპტირებულ გარემოში

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი: 4 ხარისხიანი განათლება

3.3. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (სკოლა-პანსიონი) (პროგრამული კოდი 04 05)

აღწერა: ბორის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სწავლას ახორციელებს, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესულია საჯარო სკოლის წესდების N 448 ბრძანების მესამე დანართში და ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან წამოსული თანხები მთლიანად ხმარდება სკოლას პანსიონური მომსახურების განსახორციელებლად, სკოლაში დღეის მდგომარეობით 130 მოსწავლეა, აქედან 8 მოსწავლე ათევს ღამეს, მათ შორის არის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მოსწავლეები. პანსიონი გულისხმობს მოსწავლეების უზრუნველყოფას ღამის გათვით, კვებით და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით, ამასთან ერთად ბავშვები, რომლებიც სკოლაში რჩებიან უზრუნველყოფილნი არიან საკანცელარიო ნივთებითა და სხვა

სასწავლო რესურსებით. თუმცა მიუხედავად ამისა სკოლას ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხის უმეტესი ნაწილი ხელფასებს ხმარდება, სკოლაში დასაქმებულია 48 თანამშრომელი და აქედან 24 ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, ამის გარდა რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 8 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას, რაც გამოიხატება მოსწავლეების საჭიროებებზე, კერძოდ: ყოველწლიურად საზამთრო ქურთუკების, ბათინკების, სპორტულების, ბოტასებისა და ჯინსის შარვლების შეძენა, საკანცელარი რესურსების შეძენა, ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებებით მომარაგება, მედიკამენტებით მომარაგება, კვების პროდუქტებით მომარაგება, რაც საშუალებას გვაძლევს სკოლის ყველა მოსწავლემ უფასოდ იკვებოს ერთჯერადად. ბავშვების რეგულარული სამედიცინო გამოკვლევა, წელიწადში ერთხელ ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრიდან სპეციალური მოწვევით (არასამთავრობო მიერ) ექიმთა ბრიგადის მიერ მოსწავლეების სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები, ამ გამოკვლევების შედეგად მოსწავლეებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენა, (უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაცია). სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბის „სმარტ კლუბის“ პროექტების დაფინანსება, (სოციალური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების განხორციელება,), რაც ყველაზე მთავარია სკოლაში შემოღებულია სახელობო სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ: სტილისტის პროფესიას, კერვას, მანიკურს, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს . ეს ყველაფერი ბავშვებისათვის უფასოა და მათ მასწავლებლებს ხელფასებს არასამთავრობო ორგანიზაცია უხდის.

მიზანი: პანსიონალური მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრირება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა

მიზანი: 4 ხარისხიანი განთლება

3.4. სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) (პროგრამული კოდი 04 05)

აღწერა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 12 დასახელების წრე: ნორჩ-მათემატიკოსთა, მხარეთმცოდნეობის, ინგლისური ენის შემსწავლელი, ხატვის, ლიტერატურული თეატრის , ხეუკვეთის, მაკრამეს, ხალხური სიმღერებისა და საკრავების, საესტრადო სიმღერის, საეკლესიო საგალობლების კინომოყვარულთა წრეები, აგრეთვე სპეციალური საჭიროების ბავშვთა ჯგუფი და მასთან არსებული მუსუკალური სტუდია „ჰარმონია“.

წრეებში ბავშვები გადანაწილებულები არიან თავისი სურვილის მიხედვით. პროგრამის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური უნარჩვევების და ნიჭის გამოვლენა-განვითარება, პროფესიული აჩევანის ხელშეწყობა, გოგონებისა და ბიჭებისთვის სხვადასხვა წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სპეციალური საჭიროებების მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო პირობების შექმნა, საჯარო სკოლებთან, სასწავლო-სააღმზრდელო, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად პარტნიორული პროექტების განხორციელება.

მიზანი: ხელი შეუწყოს სკოლისგარეშე განათლების პოპულარიზაციას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონიის ამაღლებას, ბავშვებში სამოქალაქო ცნობიერებისა და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი: 4 ხარისხიანი განთლება

4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული ღონისძიებების და ეკლესიის ხელშეწყობას. პრიორიტეტი გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით- საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, სპორტის განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და მათ მრავალფეროვნებას.

4.1. სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

აღწერა: პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: სპორტული ღონისძიებები, სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა; სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვა. ამ პროგრამით ხდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;

პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში სერვისები შეთავაზებულია ის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

მიზანი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 3- ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

აღწერა: სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სახის სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზება და ჩატარება. პროექტ „მხიარული სტარტების“ ჩატარება სხვადასხვა ასაკსა და კატეგორიებში. მუნიციპალიტეტის სოფლებში დაგეგმილი დოლების და სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებების ხელშეწყობა. ღონისძიებების დაგეგმვისას უზრუნველყოფილია გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობა და შექმნილია თანასწორი პირობები სპორტული განვითარებისათვის.

მიზანი: მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარება; სპორტული ტრადიციების დაცვა-გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება; სპორტის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა. დეაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3- ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა

4.1.2 სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

აღწერა: ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ ემსახურება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებას და არჩეული სპორტის სახეობაში შექმნილი სპორტული მომზადების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზებას.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრში“ გაერთიანებულია 13 სპორტული მიმართულება, ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე ტაიკვანდო, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, რაგბი, კინგ-ბოქსინგი, ჭადრაკი.

სულ ფუნქციონირებს 24 ჯგუფი. ჯგუფები გახსნილია - დაბაში, ბორითში, ხევში, კიცხში, ბორში, ვარძიაში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში და ვახანში. ორგანიზაციაში დასაქმებულია 70 თანამშრომელი, მათ შორის 31 მწვრთნელი. ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობას ეუფლება - 410 მოსწავლე, მათ შორის 67 გოგო და 343 ბიჭი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 13 ქალი და 57 მამაკაცი. დასაქმებულთა რაოდენობიდან 39 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 31 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით; სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3- ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი: 5 - გენდერული თანასწორობა. მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

4.1.3. სპორტული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვა (პროგრამული კოდი 05 01 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირება. მოეწყობა მინი-სტადიონები მუნიციპალიტეტის სოფლებში, რომლითაც თანაბრად ისარგებლებენ როგორც ბიჭები, ასევე გოგონები.

მიზანი: მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3- ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

4.2. კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

აღწერა: პროგრამით ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: კულტურის სფეროს დაწესებულებათა ხელშეწყობა, კულტურის ღონისძიების ხელშეწყობა და კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. კულტურის სფეროს დაწესებულებათა ხელშეწყობა თავის მხრივ ახორციელებს სამ ქვეპროგრამას:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა; ფოლკლორის ხელშეწყობა. დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების სერვისების ისე დაგეგმვა, რომ პასუხობდეს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

4.2.1. კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

აღწერა: აღნიშნული პროგრამით კულტურულ საქმიანობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპები, მათ შორის სახელოვნებო განათლების ხელშეწყობას ა(ა)იპ შ. ბუაჩიძის სამუსიკო სკოლა, კულტურის, ხელოვნებისა და სიდა ტურიზმის ხელშეწყობას ა(ა)იპ კულტურის, ხელოვნებისა და სიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

მიზანი: პროგრამის მიზანია კულტურის სფეროში მომუშავე ა(ა)იპების ხელშეწყობა. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

4.2.1.1. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კოკკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

მიზანი: შემოქმედების მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კოკკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 4- ხარისხიანი განათლება;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

4.2.1.2. კულტურის, ხელოვნების და სიდა ტურიზმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და ვოკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. წლის განმავლობაში მიმდინარეობს ტურისტული ბილიკებისა და მარშრუტების დაგეგმვა-მოძიება მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის დაწესებულებების პროგრამებისათვის. პროგრამა შედგება 7 ქვეპროგრამისაგან. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი და სიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი.

კულტურის ცენტრში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური წრე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი წრე, ქართული რეწვის შემსწავლელი წრე. აღნიშნული წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 25-მდე აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 200-მდე მონაწილე. აღსანიშნავია, რომ კულტურის ცენტრის საქმიანობა მოიცავს მუნიციპალიტეტის რამოდენიმე ტერიტორიულ ერთეულს. პერიოდულად იმართება გასვლითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის სოფლებში. ტურიზმის ცენტრის ჩართულობით

ფუნქციონირებს საზაფხულო „ერუდიტ ბანაკი“, დასაც ჩართულია 70მდე მოსწავლე მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სკოლიდან.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, მათ შორის 1 ცენტრალური, 1 საბავშვო, 1 პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენს 196 317 ერთეულს . ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 4443 ადამიანს. ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ტრადიციულად აქტიურად მონაწილეს საბიბლიოთეკო კვირეულში, გრძელდება პროექტი „მეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, რომლის ფარგლებშიც არაერთი ცნობილი სახე სტუმრობდა ხარაგაულს. აქტიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება და მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია , ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს შშმ პირთათვის , პროექტით სარგებლობს 25-მდე ბენეფიციარი . აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკასთან არსებული ინოვაციების ცენტრი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მოსარგებლეთა რაოდენობა 50 მდე ადამიანი.

კულტურის ცენტრთან არსებული ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მრავალი ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს. იგეგმება 1 პრემიერა და 1 სპექტაკლის აღდგენა სულ გაიმართება 8 ჩვენება . თოჯინების თეატრი გამართავს 1 სპექტაკლის პრემიერას , რომელიც ნაჩვენები იქნება 5ჯერ და აღდგენილი იქნება 1 სპექტაკლი , რომელიც ნაჩვენები იქნება 8 ჯერ. ასევე წარმატებულად მოღვაწეობს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, დაგეგმილია 3 სპექტაკლის პრემიერა, აღდგება 5 სხვადასხვა სპექტაკლი და საბოლოო ჯამში გაიმართება 22 ჩვენება. იგეგმება ტრადიციული სამხატვრო - მუსიკალური პლენერ „გამა“ს და ლიტერატურული კონკურსის „ოდენონი“-ს გამართვა აღსანიშნავია , რომ სპექტაკლები და თეატრალური წრმოდგენები იმართება როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ისტორიული მუზეუმი, ექსპონატების რაოდენობა 11123 ერთეული; ვიზიტორები წლის განმავლობაში 3792 ; მუზეუმში ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები: პატარა არქეოლოგები, მოხალისე გიდები, პატარა რესტავრატორები, „ჩვენ ვხატავთ ანიმაციას“, „ფერწერული მუსიკა“, , შემოდგომა იმერეთში, ევროპის მემკვიდრეობის დღეები, ექსპონატებით გაცოცხლებული ხარაგაულის ისტორია, ინტეგრირებული გაკვეთილები, გასვლითი ექსპედიციები, მუზეუმების დამე, ეროვნული სამოსის დღე და ა.შ . პერიოდულად იგეგმება საგამოფენო დარბაზის განახლება ექსპონატებით, მოეწყობა სხვადასხვა სახის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. ფუნქციონირებს ხატვისა და ქანდაკებების შემსწავლელი წრე , სადაც აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა მასალების გამოყენებით ფერწერული თუ კერამიკული ნამუშევრების შექმნას .

შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი აქტიურ პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტურისტულ მარშრუტებსა თუ სხვადასხვა ისტორიულ სანახაობებს. წლის განმავლობაში ეწყობა ლაშქრობები, სატავგადასავლო ტურ-თამაშები , სხვადასხვა კულინარიული ფესტივალები , კარვების ბანაკი, ჯომარდობა, ფოტოკონკურსები, მიმდინარეობს აგროტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ცენტრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს მთელს მუნიციპალიტეტს და მასში ჩართულია როგორც დაბის, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები.

მიზანი: კულტურულ შემოქმედებით ტურისტულ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურისა და ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;

მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და ტურისტულად საინტერესო ადგილების მოძიება და პოპულარიზაცია.

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა.

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

4.2.1.3. ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

აღწერა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს შორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ცენტრის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. წარჩინებული ახალგაზრდობის უფასო სწავლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ასევე სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება სპეციალური პროგრამით.

მიზანი: ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია, შენახვა და განვითარება.

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4- ხარისხიანი განათლება;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

4.2.1.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩინებას, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და ფესტივალებში. თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია. ხალხური შემოქმედების ფოლკლორის დაცვა და პოპულარიზაცია, განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩინება, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართვა ღონისძიებებში და მათი შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენა. მონაწილეობის მიღება ტრადიციულ ფესტივალებში, როგორებიცაა „ ამღერებული იმერეთი“, „იმერეთის ხმა“, „სულიკო“, თეატრალური იმერეთი“, შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი ბათუმში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროექტი სკოლებისათვის „ჩემი საქართველო აქ არის“. დედა ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიებების მოწყობა და მოსწავლეთა ჩართვა. საახალწლო ღონისძიებების დაგეგმვა მუნიციპალიტეტში. საგაზაფხულო ღონისძიებების დაგეგმვა.

მიზანი: განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩინება, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები

4.3 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ცხელი ხაზის მეშვეობით ადგილობრივებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება ბევრად ნაკლები დროისა და ენერჯის ხარჯზე. გაზეთ „ახალ ხარაგაულში“ ინფორმაციებისა და მასალების განთავსება, ასევე მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება.

მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა. გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში მარგვეთისა და უბისის ეპარქიის შუამდგომლობით ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადამუშაველ საკათედრო ტაძარს გარე და შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ასევე დახმარება გაეწევა სკოლა-გიმნაზიას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია მონასტრებს.

მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ტაძრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

4.4 ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 05)

აღწერა: ახალგაზრდული პრიორიტეტების გამოკვეთა, მათი შესაძლებლობების სწორად გამოყენება, ზრუნვის გაძლიერება, მათი ინიციატივების წახალისება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზეიმო კონცერტების, სპექტაკლების, სხვა გასართობი ღონისძიებებში ჩართვა, არაფორმალური განათლების დაწესებულება, მწერლობასთან და წიგნთან ახალგაზრდების დაახლოება, კულტურისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარება, თეატრალური, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება. ამ პროგრამით ერთჯერადად წახალისდებიან ის პირები ვინც ერთიან ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას (გარადა უფასო ფაკულტეტებისა) 100%-იანი დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში 1000 ლარით, 70%-ინის შემთხვევაში 800 ლარით და 50 %-იანი დაფინანსების შემთხვევაში 600 ლარით. ასევე წახალისდებიან ოქრო-ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებულები.

მიზანი: განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

5. პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

5.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სადამრედელო და საგანმანათლებლო-სადამრედელო დაწესებულებებში

სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამშრომებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2(კოვიდ-19-ის დაავადებაზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობა)

2 იმუნიზაცია.

3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა

4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის მონიტორინგი.

მიზანი: მოსახლეობაში სხვადასხვა გადამდები დაავადებების რისკების შემცირება დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სამედიცინო განათლების დონის ამაღლება გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

5.2. სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03)

აღწერა: სოციალური დაცვა მოიცავს დახმარებას სამედიცინო, მედიკამენტების და გამოკვლევების მიმართულებით. ფინანსურ დახმარებას მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახებისთვის, მარტოხელა მშობლების, მარჩენალდაკარგული, რეინტეგრირებული პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის, სოციალურად დაუცველი, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის. ფინანსურ დახმარებას სტიქიის შედეგად ან სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად. ყოველთვიურ დახმარებას შშმ პირთა, სამამულო ომის ვეტერანების, დევნილების და უსინათლოებისათვის. ძალადობის მსხვერპლთა, მომეტებული საფრთხის ქვეშ მყოფი და უსახლკარო პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფას. არასრულწლოვანთა ოჯახების დახმარებას, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსურ დახმარებას. უფასო სასადილოს დაფინანსებას. ადრეული განვითარების სახელმწიფო ქვეპროგრამის ხელშეწყობას, შინმოვლის და პერსონალური ასისტენტის მომსახურების დანერგვას.

მიზანი: პროგრამის მიზანია სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გარკვეული ფინანსური დახმარების გაწევა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა. მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5 - გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება).

5.2.1. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევისა და მომსახურების დაფინანსებას, კერძოდ:

ა) ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას არაუმეტეს 1000 ლარისა, იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.

ბ) ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადების შემთხვევაში (ოპერაციის, სამედიცინო კვლევის, მედიკამენტის შესაძენად) დახმარება გაიწევა არაუმეტეს 2000 ლარისა;

გ) სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება არაუმეტეს 500 ლარისა;

დ) იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ მკურნალობას დაქვემდებარებული არასრულწლოვნების სპეციფიკური საკვებით უზრუნველყოფა არაუმეტეს 3000 ლარისა;

ე) ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად ეპილექსიის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;

ვ) ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად პარკინსონის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;

ზ) ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად ბრონქიალური ასთმის და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;

თ) ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100001-ს.

მიზანი: სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

მიზანი 3- ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის

5.2.2. შშმ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 03)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა სხვადასხვა სახის დახმარებას, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის პირებისთვის იმპლანტის აპარატის საჭირო ნაწილების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის და/ან პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში არაუმეტეს 1200 ლარისა. 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მედიკამენტოზური და სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება არაუმეტეს 1400 ლარისა. შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ აქვს სოციალური შემწეობა, ყოველთვიური დახმარება თვეში 70 ლარის ოდენობით. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკის და თერაპიის დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა. შშმ პირთათვის სხვადასხვა სახის ღონისძიების მოწყობა, საჩუქრების შეძენა (ექსკურსია, საგანმანათლებლო-განმავითარებელი ღონისძიება და სხვ.)

მიზანი: შშმ პირთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მხარდაჭერა
(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
მიზანი 3-ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის
მიზანი 5 - გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობის გაუმჯობესება

5.2.3.ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 04)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ფინანსურ დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან მატერიალურ ხელმოკლეობას.

დახმარების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ფინანსური დახმარება;

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა. მიზანი 3-ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის

5.2.4. ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 05)

აღწერა: ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები, ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 250 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ლეიკემიით დაავადებულ პირებს, მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას.

მიზანი: სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისთვის პაციენტების ხელშეწყობა;

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3-ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის

5.2.5. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 06)

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და ყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი.

დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ თითოეულ ბავშვზე 100 ლარით

მიზანი: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

5.2.6. მარტოხელა მშობლების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 07)

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც 3ყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად 70 ლარით.

მიზანი: მარტოხელა მშობლების მხარდაჭერა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

5.2.7. მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 08)

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან: 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი.
დახმარება განისაზღვრება თვეში 50 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე პირზე.

მიზანი: მარჩენალდაკარგული და რეინტეგრირებული პირების დახმარება;
(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

5.2.8. ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 09)

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან:

1. ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსინათლოები; 2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები. დახმარება განისაზღვრება თვეში 70 ლარის ოდენობით.

მიზანი: სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების საბაზისო ფინანსური დახმარება

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

5.2.9. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 10)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა 2000 ლარის ოდენობით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. 2008 წლის წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

მიზანი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

5.2.10. ხანდაზმულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 11)

აღწერა: ქვეპროგრამა მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის ხანდაზმულთა დახმარებას საიუბილეოდ 2000 ლარის ოდენობით.

მიზანი: ხანდაზმულებზე ზრუნვა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა. მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის).

5.5.11. სადღესასწაულო დღეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 12)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს გაეწევთ დახმარება 200 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 200 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შექმნა. საკვები პროდუქტის შექმნა ან ფულადი დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით.

მიზანი: სადღესასწაულო დღეებსა და ღირშესანიშნავ თარიღებში მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

5.2.12. სოციალურად დაუცველ და მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 13)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (65000 ქულის ჩათვლით) გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურებისთვის გაიწევა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე - 300 ლარის ოდენობით.

მიზანი: მოპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველ და მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება.

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

5.2.13. უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 14)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწევა უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს გათბობის უზრუნველსაყოფად.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა ხანდაზმულების და უმწეო ოჯახების ფინანსური დახმარება გათბობის უზრუნველსაყოფად. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა. მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის).

5.2.14. ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 15)

აღწერა: ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 200 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით

მიზანი: ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

5.2.15. გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა. (პროგრამული კოდი 06 03 16)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებაზე დახმარებას -250 ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მიზანი: გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება

5.2.16. სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03 17)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და/ან სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო, განსახლებას დაქვემდებარებული, მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები და/ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

მიზანი: სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ან სხვა ობიექტური მიზეზის შედეგად დაზარალებული და/ან უსახლკაროდ დარჩენილი პირების დახმარება

(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა; გაუმჯობესება).

5.2.17. უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 03 18)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული სოციალურად დაუცველი მოხუცების, შშმპირების, მრავალშვილიანი ოჯახების მორალურ და ეკონომიურ მხარდაჭერას. მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას კვირაში ექვსი დღე ერთჯერადი კვებით დაბის ტერიტორიაზე (სადღესასწაულო დღეების ჩათვლით), ხოლო მუნიციპალიტეტის ოთხ ტერიტორიულ ერთეულში გამზადებული ცხელი საკვების მიწოდება კვირაში ორი დღე. ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება უკიდურესად გაჭირვებულ მოწყვლად ჯგუფებზე საკვები პროდუქტებით მომართვიანობის შემთხვევაში.

მიზანი: სოციალურად დაუცველ ქალბატონებს შეუმსუბუქდეს ფიზიკური ყოფა (სამსახურის ბაზაზე გახსნილია სოციალური სამრეცხაო) (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - ნულოვანი შიმშილი)

5.2.18. სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03 19)

აღწერა: მუნიციპალიტეტში, შინმოვლის საჭიროების მქონე პირებისთვის მომსახურების ადგილზე მიწოდება, საგრანტო პროექტების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ხელშეწყობა და სერვისის მდგრადობის შენარჩუნება.

დაინერგება შინმოვლისა და პერსონალური ასისტენტის მომსახურება, გაგრძელდება წითელი ჯვრის საქმიანობის ხელშეწყობა

მიზანი: ადრეული განვითარების სერვისის მდგრადობის შენარჩუნება, ენისა და მეტყველების თერაპიის მიწოდება (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა)

5.2.19. გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 03 20)

აღწერა: ქვეპროგრამა მოიცავს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ პირველად მხარდაჭერას, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური, ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. განცხადების ან სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ოჯახში ვიზიტს ახორციელებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი რომელიც აფასებს ოჯახის მდგომარეობას და საჭიროებას. სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ოჯახს გაეწევა შესაბამისი დახმარება.

მიზანი: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარება.

ა(გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მიზანი 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;

5.2.20.ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება. (პროგრამული კოდი 06 03 21)

აღწერა: ქვეპროგრამა მოიცავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება. დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ვეტერანების ფინანსური დახმარება

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

5.2.21.არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 22)

